ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2015 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო გრანტების

პრეზენტაციის

პროგრამა

თბილისი

2016

18 თებერვალი

რეგლამენტი:

პრეზენტაცია – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

თბილისი

2016

11.00

პირველი სხდომა

სხდომის თავმჯდომარე – პროფ. ნანი გაფრინდაშვილი

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ის I კორპუსი, 203-ე აუდიტორია)

შესავალი სიტყვა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

პროფესორი ნანი გაფრინდაშვილი

მისასალმებელი სიტყვა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

პროექტი	**N1**
პროექტის სახელწოდება	**უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში**
ინსტიტუტი	**ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. რამაზ ქურდაძე**
პროექტში მონაწილე პროფესორები	1. პროფ. დარეჯან თვალთვაძე; 2. ასოც. პროფ. მაია ლომია (თანახელმძღვანელი); 3. ასოც, პროფ. ქეთევან მარგიანი; 4. ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი.
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ნინო ქებურია (დოქტორანტი); 2. მაია მადუაშვილი (დოქტორანტი); 3. მაგული ღამბაშიძე (მაგისტრანტი); 4. გიორგი ჯღარკავა (ბაკალავრიატის სტუდენტი); 5. თამარ ჩანქსელიანი(ბაკალავრიატის სტუდენტი); 6. ელენე ქადაგიშვილი(ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

დამუშავდა: ძველი და ახალი ქართულისა და სხვა უმწერლობო ქართველური ენების - მეგრულის, ლაზურისა და სვანურის უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები: **გრამატიკულ-მორფოლოგიური მოდელები** (უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების სტრუქტურა, უარყოფით ნაწილაკებთან სხვადასხვა მწკრივის ზმნურ ფორმთა შეხამება) და **აფიქსური წარმოება** (უქონლობის და უარყოფითნაწილაკიანი რთული სახელები). ენობრივი ნორმისა და სტილის თვალსაზრისით, სინქრონულ დონეზე გაანალიზდა **ორმაგ უარყოფასთან** დაკავშირებული საკითხები. ემპირიული მასალა დაემყარა კორპუსულ კვლევას; გამოყენებულ იქნა TITUS-ის (http://titus.Uni-frankfurt.de), ARMAZI-სა (http://www.Uni-frankfurt.de./armazi/) და GEKKO-ს (http://clarino.uib.no/gnc/document-element?session) მონაცემთა ბაზები, ასევე, ბეჭდურად გამოცემული ლაზური და სვანური ტექსტები. ძველი ქართული ენის მონაცემები დამუშავდა სინური მრავალთავის, სახარების პრეათონური და ათონური რედაქციებისა და გელათის ბიბლიის მიხედვით. კვლევა წარიმართა კომპლექსურად, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო ლინგვისტური სტანდარტის გათვალისწინებით. ემპირიული მასალა დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში დამუშავებულია **აღწერით-სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი** და **დისტრიბუციული** (**სინტაგმატური**) მეთოდების გამოყენებით, განისაზღვრა სტატისტიკური მონაცემები და გაკეთდა მეცნიერულად სანდო დასკვნები. კვლევის შედეგების შეჯერებით გამოვლინდა საერთო ქართველური კანონზომიერებანი და თითოეული ქართველური ენის სპეციფიკა საანალიზო საკითხთან დაკავშირებით. **კვლევათა შედეგი მნიშვნელოვანია** როგორც საკუთრივ ქართველურ ენათა ისტორიისა და ტიპოლოგიის განსაზღვრისას, ისე ზოგადენათმეცნიერული, კულტუროლოგიური და პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით. **მიღებული შედეგები** საინტერესო და საჭიროა ლინგვისტებისთვის, ფსიქოლოგებისა და ფსიქოლინგვისტებისთვის, ასევე, ენის ისტორიისა და ნორმალიზაციის საკითხებით დაინტერესებულთათვის, განსაკუთრებით, ჟურნალისტებისთვის.

პროექტის ფარგლებში **დამუშავდა** ქართველ მეცნიერთა ნაშრომების ანოტირებული ბიბლიოგრაფია საანალიზო საკითხთან დაკავშირებით. საგანგებოდ მოწყობილ სემინარებზე პროექტში ჩართულმა სტუდენტებმა **წაიკითხეს მოხსენებები** შესაბამისი ჯგუფის პროფესორის ხელმძღვანელობით და წარმოადგინეს წინასწარი დასკვნები. პროექტის ფარგლებში მომზადებულმა მოხსენებამ, *უარყოფის გამოხატვის გრამატიკული მოდელი მეგრულში* (ავტორი გიორგი ჯღარკავა, ხელმძღვანელი – ასოც. პროფ. მაია ლომია) გაიმარჯვა თსუ სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო კონფერენციაზე და **დაიბეჭდა** სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებულში (იხ. სტუდენტთა **სამეცნიერო შრომები,** თსუ-ს გამომცემლობა, 2015, გვ.49-55); საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ **„ქართველოლოგისთვის“ გადასაცემად მომზადდა** ორენოვანი შემაჯამებელი სტატია - *უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში.*

<u>პერსპექტივა:</u> წინამდებარე პროექტის განხორციელებამ, ერთი მხრივ, წარმოაჩინა ქართველური ენების პოტენცია უარყოფის ნაირსახეობათა გამოსახატად, ხოლო, მეორე მხრივ, მოამზადა საფუძველი უარყოფასთან დაკავშირებული საკითხების ღრმა ფუნქციურ-სემანტიკური კვლევისთვის, რაც გულისხმობს მორფოსინტაქსური და სინტაქსური მექანიზმების ანალიზს.

პროექტი	**N2**
პროექტის სახელწოდება	**მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით)**
ინსტიტუტი	**საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. თედო დუნდუა**
პროექტში მონაწილე პროფესორები	1. ასოც. პროფ. აპოლონ თაბუაშვილი; 2. ასისტ. პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი; 3. ასისტ. პროფ. ლერი თავაძე.
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ემილ ავდალიანი (დოქტორანტი); 2. აკაკი ჩიქობავა (დოქტორანტი); 3. ქეთევან გველუკაშვილი (მაგისტრანტი).

პროექტის რეზიუმე

ნუმიზმატიკური მასალა მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს. განსხვავებულ ეკონომიკურ რეგიონებში მონეტა ცირკულირებდა როგორც გაცვლითი საშუალება. მას, ასევე, გააჩნდა დამატებითი სემანტიკური დატვირთვაც. ის პროპაგანდის იარაღიც იყო. ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე დაყრდნობით ასეთი სახის კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. ეს არის პროექტის სიახლე.

პროექტზე მუშაობისას ყურადღება გამახვილდა შემდეგ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე: 1. ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები მითრას გამოსახულებით, 2. ქართულ-სასანური მონეტები, 3. ქართულ-ბიზანტიური მონეტები, 4. გიორგი III-ის მონეტა (მეფე შევარდენით).

- **ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები მითრას გამოსახულებით.** მათი უმრავლესობა ბიჭვინთაშია ნაპოვნი. ეს კატეგორია რომაელ ლეგიონერთა ჯიბის ფული იყო. მათ უმრავლესობაზე მითრაა გამოსახული. აღნიშნული ფულით, სავარაუდოდ, ხდებოდა პიტიუნტის მითრაისტული რომაული კონტინგენტის პროვიდენციული სულისკვეთების ამაღლება. ეს იყო პრევენციული ზომა

ქრისტიანობის გავრცელების წინააღმდეგ. ე.ი. ადგილი ჰქონდა მითრაისტულ პროპაგანდას. კვლევა სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა.

- **ქართულ-სასანური მონეტები ჯვრის გამოსახულებით.** სასანური ტიპის მონეტებზე ჯვრის მოთავსება რევოლუციური აქტია და ის, ალბათ, გაცილებით უფრო გაბედული ნაბიჯია, ვიდრე ქართული ასოების ამოკვეთა შაჰის გამოსახულებასთან. ამ ღონისძიებით, ფაქტობრივად, ქართლმა საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი ეროვნული პრეტენზიები. კიდევ მეტი: ქართლის რომელიღაც რადიკალურად განწყობილმა ერისმთავარმა მაზდეანობის ემბლემა – წმინდა ცეცხლი, საერთოდ განდევნა მონეტიდან და მის ადგილზე (კვარცხლბეკზე) დემონსტრატიულად ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო – ჯვარი აღმართა. ე.ი. სახეზეა ევროპული და ქრისტიანული სიმპათიების პროპაგანდა.

- **ქართულ-ბიზანტიური მონეტები საქართველოს, როგორც „ბიზანტიური თანამეგობრობის“ და მართლმადიდებელი სიმმახიის წევრის, პროპაგანდაა.** საქართველო იმდენად იყო ინტეგრირებული ბიზანტიასთან, რომ აქაც და იქაც უნიფიცირებული სამონეტო ტიპები იჭრებოდა მართლმადიდებელი ინტეგრაციული სიმბოლიკით დატვირთული – „ძელი ცხორებისაჲ“ (ჭეშმარიტი ჯვარი), ვლაქერნის ღვთისმშობელი და აშ. ვლაქერნის ღვთისმშობლის ტიპის შენარჩუნება არა ტრადიციაა, არამედ ბიზანტიური თანადროული ტიპის პერმანენტული გათვალისწინება. ასევე, ტრაპეზუნტის დუქსების მონეტებზე მოთავსებული ჯვრის მსგავსი ჯვარი გამოისახებოდა ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე.

- **გიორგი III-ის სპილენძის მონეტა (მეფე შევარდენით).** მონეტა აშკარად პროპაგანდას ემსახურება. მასზე გამოსახული არარეალისტური „სპარსული სტილი“, არაბული ლეგენდა და საიმპერატორო გვირგვინი თბილისში კონცენტრირებული მუსლიმი ქვეშევრდომებისთვის ქრისტიანი მეფის მხრიდან ტოლერანტობის მანიშნებელი უნდა იყოს.

პროექტის ფარგლებში მომზადდა ორი სამეცნიერო ნაშრომი: 1. მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით); 2. **Coin as a Means of Propaganda (According to Georgian Numismatics),** გადაცემულია დასაბეჭდად.

პროექტი	**N3**
პროექტის სახელწოდება	**რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და შექსპირის „ციმბელინი“ (ციმბელინის პერსონაჟები; პარალელები „ვეფხისტყაოსანთან“)**

ინსტიტუტი	**ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე**
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. გვანცა ჭოლიკაური (დოქტორანტი); 2. თინათინ ლეკიაშვილი (მაგისტრანტი).

პროექტის რეზიუმე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (თსუ რექტორის ბრძანება N:22/04; 30.12.2014) ფარგლებში 2015 წლიდან ხორციელდებოდა საგრანტო პროექტი სახელწოდებით – *რუსთველის ვეფხისტყაოსანი და შექსპირის ციმბელინი (ციმბელინის პერსონაჟები; პარალელები ვეფხისტყაოსანთან).* პროექტში მონაწილეობდნენ როგორც დოქტორანტურისა და მაგისტრატურის, აგრეთვე ბაკალავრიატის სტუდენტები. 2015 წლის იანვრიდან პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა ყოველკვირეული სხდომები, რომლებსაც ესწრებოდნენ არა მხოლოდ გრანტის ძირითადი მონაწილეები, არამედ დამხმარე პერსონალიც. გრანტის წევრები მუშაობდნენ ინდივიდუალურად, ხოლო შემდგომ, სხდომებზე ხდებოდა მოპოვებული მასალის განხილვა–გაანალიზება.

პროექტის მონაწილეებმა მრავალი საინტერესო გამოკვლევა და ნაშრომი მოიპოვეს ინტერნეტრესურსების საშუალებით და წარმოადგინეს სხდომებზე. პროექტის მიმდინარეობისას არაერთი მნიშვნელოვანი თემა და საკითხი გამოიკვეთა რუსთველის *ვეფხისტყაოსნისა* და შექსპირის *ციმბელინის* ურთიერთკავშირთან მიმართებით. გრანტის წევრებმა ახლოს გაიცნეს შექსპირის მთელი შემოქმედება. ისინი დეტალურად კითხულობდნენ ნაწარმოებებს და თავად ნაწარმოებში ეძებდნენ ისეთ დეტალებს, თემატიკას, რაც ჩვენი პროექტის საკითხისთვის იქნებოდა სანტერესო. ამ მხრივ მათ მრავალი მნიშვნელოვანი დაკვირვება წარმოადგინეს სხდომებზე.

აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხითაც, რომ მონაწილეებმა უფრო გაიღრმავეს ინგლისური ენის ცოდნა, რადგანაც მათ ძალიან ხშირად უწევდათ სტატიების თუ ნაშრომების თარგმნა ინგლისურიდან ქართულად, რასაც წარმატებით ახერხებდნენ.

პროექტი	**N4**
პროექტის სახელწოდება	**დრამის პოეტიკა და ქართული ორიგინალური დრამის ფორმირება (ანტიკური ეპოქიდან XX საუკუნემდე)**
ინსტიტუტი	**თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ირმა რატიანი**
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. გუბაზ ლეთოდიანი (დოქტორანტი); 2. არჩილ წერედიანი (დოქტორანტი).

პროექტის რეზიუმე

საგრანტო პროექტის _ „დრამის პოეტიკა და ქართული ორიგინალური დრამის ფორმირება (ანტიკური ეპოქიდან XX საუკუნემდე)" ფარგლებში შესრულდა ყველა აღებული ვალდებულება:

- დამუშავდა ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ბიბლიოგრაფიები;
- განხორციელდა ორი სამეცნიერო მივლინება, შესაბამისად, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ;
- ჩატარდა სამეცნიერო სემინარი;

  მომზადდა ერთობლივი სამეცნიერო სტატია „ბურჟუა XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიაში", რომელიც იბეჭდება ქართულენოვან რეცენზირებად ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი".

სამეცნიერო სემინარის ფარგლებში პროექტის მონაწილეების მიერ წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები:

· „ბურჟუას ცნების გაგებისათვის დასავლურ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში" (პროფ. ირმა რატიანი);

· „ახალი ფენა" გიორგი ერისთავის „გაყრაში" (გუბაზ ლეთოდიანი);

· „ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში" და ძირითადი კონცეპტუალური ოპოზიციები" (არჩილ წერედიანი).

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში: პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირმა რატიანმა თეზისურად დაამუშვა დრამის ჟანრული მოდელების პრობლემა სხვადასხვა ეპოქების დონეზე, აგრეთვე, დრამის ძირითადი თეორიები. პროექტის მონაწილეებმა გუბაზ ლეთოდიანმა და არჩილ წერედიანმა თეზისურად დაამუშვეს ქართული დრამის წანამძღვრების პრობლემა და მოიძიეს XIX საუკუნის ქართული პრესის ცალკეული

პუბლიკაციები. პროექტში დასახეული ამოცანები წარმატებით გადაიჭრა.

პროექტი	**N5**
პროექტის სახელწოდება	**თანამედროვე კავკასიის ეთნოლინგვისტურ მონაცემთა ბაზა**
ინსტიტუტი	**კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ცირა ბარამიძე**
პროექტში მონაწილე პროფესორები	ასოც. პროფ. რევაზ აბაშია
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ლევან ვაშაკიძე (ინსტიტუტის თანამშრომელი); 2. ალექსანდრე კვახაძე (დოქტორანტი); 3. ქეთევან ხუციშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტის ფარგლებში შედგენილ იქნა 42 სოციოლინგვისტური ანკეტა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული ენების შესახებ ორ ენაზე - ქართულსა და ინგლისურზე. ანკეტები შესრულებულია ციფრულ Microsoft word-ის ფორმატში. თითოეული ანკეტა წარმოადგენს ცხრილს, რომელიც ასახავს სტატისტიკას ამა თუ იმ ენის შესახებ. სტატისტიკური მონაცემებიდან აღრიცხულია: ენისა და ერის ისტორიული და თანამედროვე თვითსახელწოდება, ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულისა და გენდერის მიხედვით, ენის ისტორია, ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის მოკლე აღწერა, არსებობის შემთხვევაში სამწერლობო ენის ისტორია და ამჟამინდელი გამოყენების სფეროები და ენის ვიტალურობის ხარისხი. აღიწერა შემდეგი ენები: ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური, აფხაზური, ჩერქეზული, აბაზური, უბიხური, ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბური (წოვა-თუშური), ხუნძური, ანდიური, ახვახური, ბაგვალური, ღოდობერიული, ჭამალური, ტინდიური, ბოთლიხური, კარატაული, დიდოური, ბეჟიტური, ჰინუხური, ჰუნზიბური, არჩიბული, ლეზგიური, თაბასარანული, რუთულური, ხინალუღური, ბუდუხური, კრიწული, უდიური, წახური, აღულური, აზერბაიჯანული, ყუმიხური, ნოღაური, ყარაჩაი-ბალყარული, სომხური, ოსური და თათური. გარდა ამისა, გაკეთებული იყო ყველა ენის კილო-თქმის შესაბამისი ჩამონათვალი.

პროექტის მთავარი სიახლე იყო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ უმწერლობო მინორიტარული ენების მატარებელთა რაოდენობის მიახლოებითი დადგენა, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია დაღესტნელმა (ხუნძმა) მკვლევარმა - მარკო შაჰბანოვმა. გარდა ამისა, ჩვენ შევისწავლეთ რუსეთის ფედერაციის 2010 წლის აღწერის მონაცემები და აღნიშნული

ეთნოსებით დასახლებული პუნქტებისა და სხვა მონაცემების მოხმობით შევძელით, და მიახლოებითი რიცხვი წარმოვადგინეთ. გარდა ამისა, ჩვენ მივუთითეთ თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ კავკასიელთა მიახლოებითი რაოდენობაც, რაც ასევე სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს კავკასიურ სოციოლინგვისტიკაში.

ჩვენს ნაშრომში მეგრული და ლაზური გაერთიანებულია ერთ ანკეტაში და ეწოდება „მეგრულ-ლაზური (ზანური)“. გაერთიანებულია აგრეთვე ყაბარდოული, ჩერქეზული და ადიღური ერთ ენად, რომელსაც ჩერქეზული ეწოდება. ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ აღნიშნული ენობრივი ერთეულები როგორც სოციოლინგვისტიკის, ასევე კომპარატივისტიკის მიხედვით წარმოადგენენ ერთი ენის რამდენიმე დიალექტს.

მონაცემები მზად არის ვებგვერდზე შესაყვანად და მოსახლეობის ცვლილების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ინფორმაციის განახლება.

პროექტი	**N6**
პროექტის სახელწოდება	**ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით**
ინსტიტუტი	**საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. მარიამ ჩხარტიშვილი**
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ნუნუ ხარაიშვილი(მაგისტრანტი); 2. ნინო გოგრიჭიანი(მაგისტრანტი); 3. ნინო ტივაძე(მაგისტრანტი); 4. ელა კაკავა(მაგისტრანტი); 5. ეთერ მიქაძე(მაგისტრანტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტის იდეა ეფუძნება გარკვეულ თეორიულ წანამძღვრებს, იმას, რომ კოლექტიური იდენტობის წარმოშობისა და შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ მეხსიერებას. მეორე თეორიული მოცემულობა ისაა, რომ ადამიანურ იდენტობათა უმეტესობა (თუ ყველა არა) სოციალურად კონსტრუირებულია, შესაბამისად, კოლექტიური მეხსიერება გარკვეულწილად მართულია *ჩვენ*-ჯგუფების კულტურული და პოლიტიკური ელიტების მიერ. მესამე წანამძღვარი ისაა, რომ იდეების გავრცელებისათვის საჭიროა მედია საშუალებები; ბეჭდური მედიის წარმოშობას უკავშირდება ერების წარმოშობა. მედია დაკავშირებულია საგანმანათლებლო სისტემასთან. ერების დროს საგანმანათლებლო სისტემა უნიფიცირებულია, ამასთან დაკავშირებით იკვეთება სახელმძღვანელოების, როგორც მედია საშუალებების, როლი. იგულისხმება

სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში. როგორც აჩვენებს მრავალი ქვეყნის შემთხვევის განხილვა, სახელმძღვანელოები მხოლოდ ისტორიული რეპრეზენტაციის შედეგების მიწოდებას არ ისახავს მიზნად. ისინი იქმნება ინტერესთა ჯგუფების დაკვეთით. აღნიშნული პრობლემა საკმაოდ კარგად არის დამუშავებულ დასავლეთში. სახელმძღვანელოების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტებიც კი არსებობს. საქართველოში ამ კუთხით ჯერ მაინც ცოტაა გაკეთებული. რაც არის, ძალიან საგულისხმოა, ოღონდაც წყაროთა ბაზა შედარებით შეზღუდულია და საანალიზოდ მოხმობილი ინდიკატორებიც – მცირე. პროექტის მიზანი იყო კვლევა დაფუძნებული ყოფილიყო ფართო წყაროების მომცველ ბაზაზე და ჩატარებულიყო ინდიკატორების მნიშვნელოვანი რაოდენობის მიხედვით. ქრონოლოგიურ ჩარჩოებად მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიდრე ამ საუკუნის ათიან წლებამდე პერიოდი განისაზღვრა. ეს არის საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის ხანა. ეს ვითარება ასახვას პოულობს განათლების სისტემაზე და სახელმძღვანელოებზეც. გამოკვლევაში რამდენიმე ათეული სახელმძღვანელო არის შესწავლილი. შედეგად აღდგენილია სურათი, რომელიც მნიშვნელოვანია იდენტობრივი პერცეფციების დინამიკის საჩვენებლად და, აგრეთვე, ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისითაც. ამ შედეგებს აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც ეროვნული ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების შექმნისათვის.

პროექტი	**N7**
პროექტის სახელწოდება	**არქეოლოგიური ძეგლების წინასწარული საპრევენციო რეგისტრაცია**
ინსტიტუტი	**არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ვახტანგ ლიჩელი**
პროექტში მონაწილე პროფესორები	
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. დავით ნასყიდაშვილი, პროფესორის ასისტენტი (დოქტორანტი); 2. გვანცა ვაჩაძე (დოქტორანტი); 3. ლანა ჩოლოგაური (მაგისტრანტი); 4. ნინო თავართქილაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

გადაუდებელი გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები განაპირობა დუშეთის მუნიციპალიტეტში სოფელ საკრამულოში შემთხვევითმა აღმოჩენამ. ინტენსიურმა ნალექებმა ბუნებრივად შექმნა სანიაღვრე ახრი, სადაც ჩამორეცხა სამაროვნის ნაწილი და ზედაპირულად გამოაჩინა ბრინჯაოს მახვილი, სამაჯური და ორი ცალი საკინძი. შემთხვევითი მონაპოვარი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტში ჩააბარა არქეოლოგიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტმა ალექსანდრე ოქროპირიძემ. გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ფარგლებში მოხერხდა 6 სამარხის შესწავლა. აღმოჩენების პირველადი შესწავლით არტეფაქტები გვიენდელ ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება (ძვ.წ. XV-XIII სს).

გამოვლენილი სამარხების უმეტესობა დაზიანებულია. გარდა ბუნებრივი მოვლენებისა, არქეოლოგიურმა ობიექტმა ადგილობრივი მოსახლეობის გადამეტებული ყურადღება მიიპყრო, რამაც ძეგლზე გამოიწვია არალეგალური სამუშაოები.

სამარხები დამხრობილია ჩრდილოეთით და განლაგებულია 15 სანტიმეტრიდან 55 სანტიმეტრ სიღრმეზე. სამუშაოების პროცესში გამოვლინდა როგორც ბრინჯაოს, ასევე კერამიკის არტეფაქტები. აღმოჩენილი კერამიკის უმეტესი ნაწილი მორუხო მონაცრისფრო ფერისაა, ხოლო კეცი – უხეში. ამ ფორმის ჭურჭელი დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს პირველი ეტაპისთვის. სამარხების კვლევისას, გარდა ანთროპოლოგიური მასალისა, N2 სამარხში გამოვლინდა ცხენის ჩონჩხი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ამჟამად, აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები ინახება არქეოლოგიის სასავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საცავში, ხოლო არქეოლოგიური ლაბორატორიის განახლების შემდეგ ჩაუტარდება სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები.

პროექტი	**N8**
პროექტის სახელწოდება	**ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა სოციალური და კულტურული განვითარების თავისებურებანი და გეოგრაფიული გარემო**
ინსტიტუტი	**ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. როლანდ თოფჩიშვილი**
პროექტში მონაწილე პროფესორები	ასოც. პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილი
პროექტში მონაწილე	1. ციცინო პაპიაშვილი (დოქტორანტი);

სტუდენტები	2. გიორგი ავთანდილაშვილი (დოქტორანტი).

პროექტის რეზიუმე

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ მრავალფეროვანია ევროპასა და აზიას შორის მდებარე კავკასიის გეოგრაფიული რეგიონი. ეს მრავალფეროვნება კარგად ჩანს, უპირველეს ყოვლისა, ეთნოსთა მრავალრიცხოვნებაში, ეთნიკური კულტურის სიჭრელეში. ნაშრომში იმ მიზეზების შესახებაა საუბარი, თუ რატომ იდგნენ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეზე კავკასიაში მცხოვრები ეთნოსები. სამხრეთ კავკასიის ეთნოსები თუ სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგნენ, ამას ვერ ვიტყვით ჩრდილოეთ კავკასიელებზე, განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრებ ადიღეურ ეთნიკურ ერთობებზე. აქ მხოლოდ სოციალური დიფერენციაციის ჩანასახები არსებობდა, მეურნეობაც პრიმიტიული გააჩნდათ. მათთვის ტრადიციული იყო თარეშების სისტემა, რომლის საწყისებიც ადრეულ საუკუნეებში ჩანს. ადიღეელთა თავის რჩენის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება სწორედ თარეშები იყო.

ზღვისა და სტეპების სიახლოვეს ცხოვრებამ ადიღეელებს დათვური სამსახურიც გაუწია. ისინი არ მისდევდნენ ისეთ ბინადარ ცხოვრებას, როგორც ქართველები და ქართველთაგან განსხვავებით, არც ექსტენსიური მიწათმოქმედების მიმდევარნი გახლდნენ – ნახევრად მომთაბარენი და ნახევრად ბინდარნი პრიმიტიული მიწათმოქმედების მიმდევარნი იყვნენ. რა იყო ამის მიზეზი? – ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. ისინი ახლოს ცხოვრობდნენ სტეპებთან, სადაც ნომადები მოძრაობდნენ და ნომადების მეზობლობაც ხელს უშლიდა სრულყოფილ ბინადარ ცხოვრებაზე რომ გადასულიყვნენ – ესა თუ ის ადიღეური ტომი ერთ საუკუნეში თუ ერთ ხეობაში იყო ლოკალიზებული, მეორე საუკუნეში – მეორე ხებაში. სოფლებიც პრიმიტიული მიწთმოქმედების გამო ხშირად იცვლიდნენ ადგილს. ადიღეელი იმიტომაც ვერ გადავიდა მიწათმოქმედების სრულყოფილ, ექსტენსიურ ფორმაზე და იმიტომ შეინარჩუნა წინაპრებისაგან გადმოცემული ბუნებასთან ურთიერთობის ფორმა, რომ არსებობის ძირითად საშუალებას, როგორც აღვნიშნეთ ზღვა აძლევდა, თუმცა არა საზღვაო რეწვა, არამედ ზღვიდან შემოსული უცხოელი, რომელიც ტყვეებს ყიდულობდა მათგან და თარეშების გაფართოვების სტიმულს აძლევდა. ამიტომაც იყო, რომ მათ ე. წ. ზედაფენას მოთარეშეთა ლიდერები შეადგენდნენ, რომლებსაც გარკვეული ქონება არა მიწაზე კერძო საკუთრებით ჰქონდა დაგროვილი, არამედ მეზობლებისა თუ სხვა ეთნოსების ძარცვა-გლეჯის შედეგად. ამრიგად, ადიღეელთა ეთნიკური განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი და პროგრესის ხელის შემშლელი ის ბიოსფერა და ეთნოსფერა იყო, რომელშიც ისინი ცხოვრობდბენ, და რომელიც გარს ერტყათ. არასტაბილური ეთნიკური სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ზოლში

მათ ნორმალური ეთნიკური ურთიერთობების – ინტეგრაციის საშუალებას არ აძლევდა, ეთნიკურ ინტეგრაციას გამორიცხავდა, იწვევდა ცალკეული ტერიტორიული ერთეულების ხშირ გადაადგილებას და ნახევრად მომთაბარე და ნახევრად ბინადარ ცხოვრებას. ჩრდილოეთ კავკასიელთათვის წამყვანი არა მიწათმოქმედება, არამედ მეცხოველეობა იყო. მეურნეობის ფორმები სხვადასხვა სამყაროს ფორმირებას იწვევდა.

პროექტი	**N9**
პროექტის სახელწოდება	**რელიგიური და ეთნიკური იდენტობის მიმართების პრობლემა საქართველოში (მე-20 საუკუნის დასაწყისი)**
ინსტიტუტი	**კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**ასოც. პროფ. ქეთევან კაკიტელაშვილი**
პროექტში მონაწილე პროფესორები	1. ასოც. პროფ. ივანე წერეთელი
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ნათია ჩიტაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი); 2. ანი ქარქუსაშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი); 3. მარიამ კობახიძე (ბაკალავრიატის სტუდენტი); 4. თინათინ სოზიაშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტის შედეგად შესწავლილ იქნა რელიგიის ფაქტორის მნიშვნელობა მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე ეთნიკური ჯგუფების იდენტობის განსაზღვრის პროცესში. პრობლემა გაანალიზდა სამი განსხვავებული ჯგუფის მაგალითზე: 1. არამართლმადიდებელი - მუსლიმი, კათოლიკე და გრიგორიანი ქართველები; 2. საქართველოში მცხოვრები გრიგორიანი სომხები; 3. ქართულენოვანი ებრაელები.

კვლევამ აჩვენა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი მნიშვნელოვანი პერიოდია იმპერიულ სივრცეებში იდენტობის პრობლემათა აქტუალიზაციის თვალსაზრისით. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოშიც; აქტუალური გახდა ქართული იდენტობის განსაზღვრის საკითხი – საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ ვართ *ჩვენ*, ქართველები; ვინ არიან *სხვები*; სად და რა ნიშნით გადის ზღვარი ჩვენსა და სხვას შორის; ვინ და რა ნიშნით შეიძლება იყოს ზღვარს შიგნით ან მის მიღმა. იდენტობის ფორმირება თავისთავად რთული და კომპლექსური პროცესია. საქართველოში საკითხის პრობლემურობას განაპირობებდა როგორც საქართველოს მოსახლეობის

ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე, ასევე თავად ქართველი ეთნიკური ჯგუფის რელიგიური არაერთგვაროვნება. შესაბამისად, მართლმადიდებელ ქართველთა იდენტობის განსაზღვრის აქტუალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა, ერთი მხრივ, არამართლმადიდებელ ქართველთა იდენტობის, მათი ეთნიკური და კულტურული მიკუთვნებულობის, და მეორე მხრივ, სხვა საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების იდენტობის განსაზღვრის საკითხები. კონცეპტუალური დისკუსიის საგანი გახდა ეთნიკური იდენტობის მარკერებისა და თითოეული მათგანის მნიშვნელობის საკითხი „ეროვნულობის“ განსაზღვრის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალური იყო რელიგიის, როგორც იდენტობის მარკერის მნიშვნელობისა და მისი მიმართების დადგენა სხვა მარკერებთან, როგორიცაა ენა, ისტორია, კულტურული მახასიათებლები (ცხოვრების წესი, სამოსი, ტრადიციები) და ეთნიკურობა.

პროექტით გათვალისწინებული კვლევა ემყარება XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამომავალ გაზეთებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, რომლებშიც აისახა იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი – ქართველების, არამართლმადიდებელი ქართველების და საქართველოში მცხოვრები ორი ეთნიკური ჯგუფის – სომეხთა და ებრაელთა იდენტობის პრობლემა.

პროექტის აქტუალურობას და მთავარ მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს ის, რომ პირველად იქნება გამოკვლეული და შედარებული რელიგიის ფაქტორის მნიშვნელობა ეთნიკურად ქართველი და არაქართველი ჯგუფების იდენტობის ფორმირების პროცესში.

პროექტი	**N10**
პროექტის სახელწოდება	**დასავლეთის თვალით დანახული XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე)**
ინსტიტუტი	**მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. თეიმურაზ პაპასქირი**
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. კახაბერ ყალიჩავა (მაგისტრანტი); 2. გიორგი ჩართოლანი (მაგისტრანტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტის შედეგად განხორციელდა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემის - რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის შესწავლა და პოლიტიკოსების, მედიისა და სამეცნიერო სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლის მიერ ამ

პოლიტიკის ინტერპრეტაციისას წარმოჩენილი განსხვავებების ხაზგასმა და მათი მიზეზების დადგენა. აღნიშნული საკითხი აქტუალურია როგორც მსოფლიო მასშტაბით, ვინაიდან რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებები წარმოადგენს XXI საუკუნეში საზღვრების ძალადობრივი გზით გადასინჯვის პრაქტიკულად პირველ შემთხვევას, ასევე საქართველოსთვის, რომელიც რუსული იმპერიალისტური მისწრაფებების პირდაპირი მსხვერპლი გახდა. შესწავლილი საკითხის სიმწვავისა და აქტუალობიდან გამომდინარე, მისი კვლევა წარმოადგენდა საკმაოდ შრომატევად პროცესს, ამიტომ მთავარი ყურადღება დაეთმო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს, რომელიც 2014 წლის თებერვალში დაიწყო. ეს ორივე მოვლენა წარმოადგენდა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის კვინტესენციას. ჩატარებული კვლევის შედეგად, მოძიებულ და შესწავლილ იქნა დასავლურ სამყაროში გამოქვეყნებული ნაშრომები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შესახებ. დადგინდა ის განსხვავებები, რომლითაც შეფასდა აღნიშნული კონფლიქტები დასავლურ სამყაროში და მათი მიზეზები. ნაჩვენები იქნა შეფასებების ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის აგრესიის პრაქტიკულად იდენტური აქტების მიმართ დასავლურ სამყაროში. ამან, თავის მხრივ, მოგვცა მთელი რიგი დასკვნების გაკეთების საშუალება როგორც საქართველოსა და რუსეთის, ასევე მსოფლიოს იმ ქვეყნების პოლიტიკური მომავლის მიმართ, რომლებიც რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის პირდაპირი თუ ირიბი აგრესიის ობიექტს წარმოადგენს. პროექტის შედეგად მომზადდა სტატია „The 2008 Russo-Georgian War and Russo-Ukrainian Conflicts in the Western Media and Historiography“, რომელიც შეძლებისდაგვარად სრულად ასახავს დასავლეთის თვალით დანახული რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას XXI საუკუნის დასაწყისში.

16.00

მეორე სხდომა

სხდომის თავმჯდომარე - პროფ. თედო დუნდუა

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ის I კორპუსი, 203-ე აუდიტორია)

პროექტი	**N11**
პროექტის სახელწოდება	**ლიონის, ფერარა-ფლორენცის კრებების უნია და საქართველო**
ინსტიტუტი	**მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. მურმან პაპაშვილი**

პროექტში მონაწილე პროფესორები	1. ასოც. პროფ. თეა წითლანაძე; 2. ასისტ. პროფ. თეა ქარჩავა.
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ნიკოლოზ სილაგაძე (დოქტორანტი); 2. ბექა კვაჭაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი); 3. თამარ წკრიალაშვილი(ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

აღნიშნული გრანტის ფარგლებში ახლებურადაა დასაბუთებული, თუ როდის მოხდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაშორება რომაულ–კათოლიკურ ეკლესიასთან. ეს ფაქტი უნდა მომხდარიყო 1234 წლის შემდეგ, როცა საქართველოში ბინა დაიდეს ფრანცისკანელმა მისიონერებმა. ჩვენს სტატიაში ასევე გამოთქმულია ახალი მოსაზრება, თუ როგორ წარმოედგინა რუსუდან მეფეს ეკლესიათა გაერთიანება. ამ მოსაზრების დასაბუთებას საქართველოს მეფე და მისი კარი პირველი შვიდი საეკლესიო კრების საფუძველზე ფიქრობდა. მართალია, რომსა და თბილისში ეკლესიათა შორის დოგმატურ და საწეს–ჩვეულებო საკითხებზე განსხვავებები აშკარად უნდა შეემჩნიათ, მაგრამ ამაზე აქცენტი არ გადაჰქონდათ. მისიონერებს საქართველოში უნიის პრინციპებით არ აგზავნიდნენ, რადგან ისინი აქ კათოლიკურ ეკლესიას აარსებდნენ, რომელიც ლათინურ ტიბიკონზე იდგა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თავის დამოუკიდებლობაზე ხელს არ იღებდა.

როგორც ცნობილია, ლიონის ეკუმენიკურ საეკლესიო კრებაზე (1274 წ.) საქართველო არ მონაწილეობდა. შესაბამისად უცნობია, თუ რა პოზიცია ეჭირა საქართველოს ეკლესიას. ჩვენს მიერ, არგუმენტირებულად უარყოფილია იმ მკვლევართა მოსაზრებები, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ანტიუნიატური პოზიცია ეკავა და მხარს უჭერდა ბერძენ ანტიუნიატებს. ჩვენი კვლევის თანახმად კი დგინდება, რომ ქართველი პოლიტიკური მესვეურები და არქიელები პატივის იჩენდნენ კათოლიკობის მიმართ და აღიარებდნენ პაპის პირველობას პატივში, რაც კონსტანტინოპოლის ეკლესიისათვის მიუღებელი იყო. ქართველი პოლიტიკური მესვეურები და საეკლესიო იერარქები ფრთხილად ეკიდებოდნენ ეკლესიათა უნიას და მასზე კონკრეტული უარი, ფერარა–ფლორენციის კრებამდე არასოდეს უთქვამთ, რადგან იზოლაციაში მოქცეული ქვეყანა პაპობის მეშვეობით ხედავდა დასავლეთში ერთადერთ ძალას, რომელსაც შეეძლო საქართველოს დასავლეთთან სამხედრო–პოლიტიკური ინიციატივები აემოქმედებინა.

ქართული დელეგაცია საუკეთესო კუთხით ვერ წარმოსდგა ფერარა–ფლორენციის (1437–1438) კრებაზე, სადაც პირველად გამოხატეს ანტიუნიატური პოზიცია. დარწმუნებით ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი სრულად წარმოადგენდნენ ქართული ეკლესიისა და სამეფო კარის პოზიციას. ჩვენს მიერ გამოყენებული ბერძნული წყაროდან ჩანს, რომ ისინი ანტიოქიის პატრიარქის ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებდნენ. ძალიან რთულია იმის გადაჭრით მტკიცება, თუ რას ფიქრობდნენ იმდროინდელი ქართველები ეკლესიათა

გაერთიანების პრობლემებზე. თუმცა აქვე გვსურს დავამატოთ, რომ იმ პერიოდის საქართველოს კულტურულ ელიტას ანტიკათოლიკურობა არ ახასიათებდა, სხვა შემთხვევაში იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში აისახებოდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქართული ეკლესია თანმიმდევრულად მომხრე იყო ეკლესიათა ერთიანობა სქიზმამდელი პოზიციებიდან აღდგენილიყო. ბიზანტიის მსგავსად, რომელმაც ორჯერ მიიღო უნია და ორივეჯერ შემდეგ უარყო, ქართული ეკლესია არ მოქცეულა.

პროექტი	**N12**
პროექტის სახელწოდება	**თუკიდიდეს „ისტორია“ ინტერდისციპლინარულ კონტექსტში**
ინსტიტუტი	**კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი; მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ლევან გორდეზიანი**
პროექტში მონაწილე პროფესორები	1. პროფ. რისმაგ გორდეზიანი; 2. ასოც. პროფ. ირინე დარჩია.
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. თათია მთვარელიძე (დოქტორანტი); 2. ანა ჟორჟოლიანი (დოქტორანტი); 3. თამარ ლეჟავა (დოქტორანტი); 4. მარიამ გოგალაძე (მაგისტრანტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტი "თუკიდიდეს "ისტორია" ინტერდისციპლინურ კონტექსტში" განხორციელდა ორი სტრუქტურული ერთეულის: თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის და მსოფლიო ისტორიის კათედრის მიერ. პროექტის ფარგლებში თუკიდიდეს "ისტორია" დამუშავდა რამდენიმე მიმართულებით: თუკიდიდეს "ისტორიის" აქტუალობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისათვის; თუკიდიდეს ისტორიის ინტერპრეტაცია XX საუკუნის იდეოლოგიური პოზიციებიდან; თუკიდიდეს "ისტორიაში" დადასტურებული სიტყვების ლექსიკურ-სტატისტიკური ანალიზი ციფრული მეთოდების გამოყენებით; თუკიდიდეს "ისტორიის" სტრუქტურული ორგანიზაციისათვის. კვლევის პირველად ეტაპზე მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა სამი მოხსენება: 1) *თუკიდიდეს ისტორია და თანამედროვეობა,* მომხსენებელი – ანა ჟორჟოლიანი; 2) *პერიკლეს სიტყვის ლექსიკურსტატისტიკური ანალიზი (თუკიდიდეს ისტორიაში დადასტურებული ტექსტის მიხედვით),* მომხსენებელი – თამარ ლეჟავა; 3) *საგრძოლო მოწოდებების კომპოზიციური აგების პრინციპები "პელოპონესის ომის ისტორიაში"*, მომხსენებელი – თათია მთვარელიძე.

პროექტის ძირითადი საკვლევი თემატიკის ფარგლებში მონაწილე ანა ჟორჟოლიანმა დაამუშავა სტატია "Thucydides' History and international Humanitarian Law". აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებისა (რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებდნენ ფორმირებას) და თუკიდიდეს "ისტორიაში" გაბნეულად წარმოდგენილი ომის კანონების (*Jus in Bello*) შედარებით ანალიზს. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების წარმოშობის შემთხვევაში არსებობდა პროცესუალური ტრადიცია, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას უპირველეს ყოვლისა მშვიდობიანი გზებით გულისხმობდა. ეს პროცესუალური პრაქტიკა ითვალისწინებდა: საჯარო განხილვებს, მოლაპარაკებებს, სასამართლო გადაწყვეტილებებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურებოდა ყველა მშვიდობიანი გზა, ქალაქ-სახელმწიფოები საომარ მოქმედებებში ერთვებოდნენ. აღნიშნული პრაქტიკა, ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, ძალზედ საინტერესო პარალელებს გვიჩვენებს თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლთან მიმართებაში და კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ანტიკური სამყარო წარმოადგენს პიონერს ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში.

პროექტის მონაწილე თათია მთვარელიძემ დაამუშავა თუკიდიდეს „პელოპონესის ომის ისტორიის“ კომპოზიციასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ კი, ტექსტში დადასტურებული საბრძოლო მოწოდებების წარმომავლობის საკითხი. პროექტით განსაზღვრული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა თუკიდიდეს ტექსტის კომპოზიციური თავისებურებების შესწავლას, სწორედ ტექსტის ავთენტურობის კონტექსტში წარიმართა. თუკიდიდესთან წარმოდგენილი 12 საბრძოლო მოწოდების სტრუქტურულ-სემანტიკურმა, ლექსიკურმა და შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ თუკიდიდეს ტექსტში წარმოდგენილი საბრძოლო მოწოდებები ერთი კომპოზიციური პრინციპითაა აგებული და ყველა მათგანი ერთსა და იმავე სტრუქტურას ავლენს: ტექსტში დადასტურებული 12 საბრძოლო მოწოდებიდან, რომელთაგანაც 6 ათენელთა წინამძღოლებს, 6 კი - პელოპონესელთა მხარეს მებრძოლ წინამძღოლებს ეკუთვნის, უკლებლივ ყველა წრიული კომპოზიციის პრინციპითაა აგებული და ერთსა და იმავე სქემას მისდევს. პროექტის ფარგლებში წარმოებული კვლევისას გამოიკვეთა თუკიდიდეს ტექსტის კომპოზიციური მახასიათებლები, რომლებიც მთლიანად გამორიცხავს ტექსტში დადასტურებული სიტყვების სიტყვა-სიტყვითი დოკუმენტირების ჰიპოთეზას (ლეოპოლდ ფონ რანკე, 1881), კიდევ ერთხელ ადასტურებს გროსკინსკის მიერ შემოთავაზებულ - სიტყვათა ინტერპრეტირების თეორიას (1936) და მნიშვნელოვან არგუმენტად გვევლინება აღნიშნულ სიტყვათა თუკიდიდესეულობის სასარგებლოდ.

პროექტი	**N13**
პროექტის სახელწოდება	**იდიომატური გამოთქმები არაბულში (ეგვიპტისა და სირია-ლიბანის დიალექტები, სალიტერატურო ენა)**
ინსტიტუტი	**აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**ასოც. პროფ. ნინო ეჯიბაძე**
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ევა გურგენიშვილი (დოქტორანტი); 2. ლელა ჯოყილაძე (მაგისტრანტი).

პროექტის რეზიუმე

იდიომატურ გამოთქმათა მნიშვნელობის შესახებ ენის შესწავლისთვის, ასევე სოციუმის ეთნოფსიქოლოგიის გაგებისთვის, კარგადაა ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში ჩვენი არჩევანი განაპირობა შემდეგმა: ჩვენი ინფორმირებულობის ფარგლებში, არაბული იდიომების შემცველი სპეციალური ლიტერატურის დეფიციტი; გრანტის მონაწილეთა წვდომა არაბ ინფორმანტებთან, ვისგანაც უშუალოდ იყო შესაძლებელი მასალის მოპოვება; კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობა არაბისტიკული პროგრამების სასწავლო კურსებში (ბაკალავრიატში _ ზოგიერთი გამოთქმის ენისა და დიალექტის სასწავლო კურსში შეტანა; მაგისტრატურაში, არაბული დიალექტოლოგიის კურსში – კვლევის შედეგად მიღებული განზოგადებული დასკვნების გათვალისწინება; მასალა საინტერესო შეიძლება იყოს არაბულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების თვალსაზრისითაც). არაბულ ფრაზეოლოგიზმთა შესწავლისას რამდენადმე სრულყოფილ სურათს მოგვცემდა მხოლოდ ისეთი კვლევა, რომელიც გაითვალისწინებდა რა არაბოფონური სამყაროს სოციოლინგვისტურ სპეციფიკას, მიზნად დაისახავდა ერთდროულად სალიტერატურო ენის და დიალექტების მონაცემებზე დაკვირვებას. მოცემულ შემთხვევაში ჩვენი დაკვირვების ობიექტები სალიტერატურო ენასთან ერთად იყო ეგვიპტური და სირია-ლიბანის დიალექტები. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია სალიტერატურო და დიალექტურ (ეგვიპტურ და სირია-ლიბანურ) ფრაზეოლოგიზმთა ძირითადი კორპუსი (კომპიუტერზე ნაბეჭდი 110 გვ.). დიალექტური მასალის დიდი ნაწილი მოპოვებულია არაბი ინფორმანტებისგან, ნაწილი დაძებნილია დიალექტურ მხატვრულ ლიტერატურაში. მასალის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა კვლევა, რომლის შედეგადაც გამოიყო: ა) სალიტერატურო და დიალექტურ ფრაზეოლოგიზმებს შორის სემანტიკურ ველთა სხვაობა. კერძოდ, სალიტერატურო ენისთვის მეტადაა დამახასიათებელი აზრის მაღალმხატვრულ დონეზე გადმოცემისთვის მომარჯვებული, სტილიზებული გამოთქმები (მაგ., სიტყვ. “საუბრის წამწამები მოზიდა” _ საუბარი გააბა); იდიომები, რომლებიც ხშირად გვხვდება პრესისა და პოლიტიკური ტექსტების ენაში (მაგ., სიტყვ. “ხელი მოაწერა პირველი ასოებით”

_ ძალაში შევიდა); წიგნიერებასა და კულტურულ პროგრესთან დაკავშირებული გამოთქმები (მაგ., სიტყვ. "წიგნის უმანკოების მამა" – ავტორი) და სხვ. ბ) დიალექტებში მეტადაა გავრცელებული ყოფითი ხასიათის, სათქმელის სხარტად და მოქნილად, ხანდახან – იუმორით გადმოცემისთვის მომარჯვებული გამოთქმები (მაგ., სიტყვ. "იხვებმა გზა გადაუჭრეს" – მოკვდა). დადგინდა საბაზო სიტყვები, რომლებზეც განსაკუთრებით ხშირად იგება დიალექტური იდიომები (ზმნები "აიღო", "დაარტყა"; ადიექტივი "ცივი", ფერის გამომხატველი ზედსართავი სახელები; სუბსტანტივი "თვალი" და სხვ.); გამოიყო მიკროსე¬მანტიკური ჯგუფები. ბ) დადასტურდა იდიომატურ გამოთქმათა სინონიმიის, პოლისემიის, სემანტიკის ცვლილების, დავიწროებისა და გაფართოების ფაქტები როგორც პროპორციულ, ასევე დიგლოსიურ ჭრილში (მაგ., სიტყვ. "აღება და მიცემა" – ეგვიპტ. ურთიერთგაგება, სალიტ. სავაჭრო ურთიერთობები).

პროექტი	**N14**
პროექტის სახელწოდება	**შექსპირის თარგმანისა და კვლევის ისტორია საქართველოში**
ინსტიტუტი	**დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. მანანა გელაშვილი**
პროექტში მონაწილე პროფესორები	ასოც. პროფ. დავით მაზიაშვილი
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. თამარ გელაშვილი (დოქტორანტი); 2. თამარ კახნიაშვილი (მაგისტრანტი); 3. სოფიო თოთიბაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შექსპირის თარგმნისა და კვლევის ისტორიის შესახებ არსებული მასალების მოძიება და დამუშავება. შექსპირის მთარგმნელთა და მკვლევართა შემოქმედების შესწავლა და თითოეულ მათგანზე მცირე ზომის (3 გვერდამდე) სტატიის შექმნა. სულ დაიწერა ინფორმაციული ხასიათის 12 მცირე ზომის სტატია (3 გვერდამდე) (ივანე მაჩაბელი, ვახტანგ ჭელიძე, გივი გაჩეჩილაძე, ნიკო ყიასაშვილი, რეზო თაბუკაშვილი, ზვიად გამსახურდია, ზაზა გაჩეჩილაძე, მანანა ანთაძე, ელგუჯა ხინთიბიძე და სხვ.).

მოპოვებული მასალის დამუშავებით მომზადდა ნაშრომი, რომელიც ასახავს შექსპირის კვლევისა და თარგმნის მდიდარ ისტორიას საქართველოში. განსაკუთრებით

უნდა აღინიშნოს, რომ თუ XIX საუკუნის თარგმანებზე მეტ-ნაკლებად არსებობს ნაშრომები, XX საუკუნის შექსპირის მკვლევართა და მთარგმნელთა მოღვწეობა სრულიად შეუსწავლელი იყო და ამ პროექტით განხორციელებული კვლევა მათი ღვაწლის შეფასების პირველი მცდელობაა.

კვლევის შედეგები აისახა 2 სტატიაში: ,,შექსპირის კვლევის ისტორია საქართველოში'' და ,,შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში'', ორივე სტატიის თეზისები გაიგზავნა საერთაშორისო კონფერენციაზე (International Journal of Arts And Sciences Conference, Paris 11-14 April, 2016) და უკვე მივიღეთ დადასტურება, რომ ორივე შეტანილია პროგრამაში.

პროექტი	**N15**
პროექტის სახელწოდება	**ენობრივი თამაში და მისი რეალიზაციის საშუალებები გლამურული ჟურნალისტიკის ტექსტების სათაურში (2014 წლის ყოველთვიურ ჟურნალ "Titler"-ის მაგალითზე)**
ინსტიტუტი	**რუსისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ნატალია ბასილაია**
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ვიქტორ გოგაშვილი (დოქტორანტურა); 2. მაია ლალიაშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი); 3. კონსტანტინე ცერცვაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი); 4. მარიამ გორგაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

გრანტის ფარგლებში ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო: მომზადდა ბიბლიოგრაფია, დამუშავდა თეორიული ლიტერატურა. ბარათებზე ამოწერილი მასალების მიხედვით შეიქმნა მდიდარი და საინტერესო კარტოთეკა, რის საფუძველზეც შედგა ჟურნალ «Tatler»-ის 2014 წლის თორმეტ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიათა სათაურების თემატური ლექსიკონი, რომელიც მოიცავს 44 გვერდს. **2015 წლის 28 მაისს** სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საუნივერსიტეტო სტუდენტურ კონფერენციაში. კონსტანტინე ცერცვაძემ და მარიამ გორგაძემ წაიკითხეს მოხსენება „ტრანსფორმირებული ლექსიკა ჟურნალ «Tatler»-ის სათაურებში, მაია ლალიაშვილმა - „ენობრივი თამაშის თავისებურებები სარეკლამო ტექსტებში".

პროექტი	**N16**
პროექტის სახელწოდება	**დისკურსი და თავისუფლება**
ინსტიტუტი	**ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ვალერიან რამიშვილი**
პროექტში მონაწილე პროფესორები	1. ასოც. პროფ. ნაპო კვარაცხელია; 2. ასოც. პროფ. რევაზ გორდეზიანი; 3. პროფ. აკაკი ყულიჯანიშვილი; 4. ასოც. პროფ. ირაკლი ბრაჭული; 5. პროფ. დემურ ჯალაღონია; 6. ასოც. პროფ. მამუკა დოლიძე; 7. ასოც. პროფ. ანასტასია ზაქარიაძე; 8. ასისტ. პროფ. ნანა გულიაშვილი.
პროექტში მონაწილე სტუდენტები	9. გური ბაქრაძე (დოქტორანტი); 1. ქეთევან ცხვარიაშვილი (დოქტორანტი); 2. გიორგი ხუსკივაძე (მაგისტრანტი); 3. გიორგი გრიგოლაშვილი (მაგისტრანტი); 4. მარიამ აბაშიძე (ბაკალავრიატის სტუდენტი); 5. ნინო მაისურაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი); 6. ქრისტინე კოხია (ბაკალავრიატის სტუდენტი); 7. თათია ბასიალია (ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

ნაშრომი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა თერგდალეულებიდან მოყოლებული როგორ მსჯელობდა ქართული საზოგადოება თავისუფლების შესახებ. ამ მოვლენის ანალიზისას გამოყენებული იქნა მ. ფუკოს დისკურსული ანალიზის მეთოდი, რომლის თანახმად მნიშვნელოვანია არა ის თუ რას ფიქრობს, არამედ როგორ ლაპარაკობს უბრალო ადამიანი, სოციალური ფენები, მთელი საზოგადოება თავისუფლების შესახებ და არა მარტო პროფესიონალები, ფილოსოფოსები, იდეოლოგები. ეს არის პირველი მცდელობა თავისუფლების დისკურსული ანალიზისა ქართულ სამეცნიერო სივრცეში. იგი საზოგადოებას მისცემს ნათელ წარმოდგენას თუ როგორ ფიქრობს და უპირველესად როგორ გამოთქვამს ქართული საზოგადოება თავის პოზიციას თავისუფლების შესახებ.

ნაშრომში ნაჩვენებია თუ ისტორიულად როგორ იცვლებოდა თავისუფლების ფილოსოფიური, თეოლოგიური, ლიტერატურული, პოლიტიკური და მედია დისკურსი. კვლევის შედეგად გამოვლინდა თავისუფლების დისკურსის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი:

თავისუფლების ადრინდელი დისკურსისათვის დამახასიათებელ თავისუფლების იდეაში სჭარბობდა უტოპიზმის და მითოსის ელემენტები, იგი თამაშობდა ზოგადი იდეის როლს და არ იყო გაცნობიერებული, თემატიზირებული თავისუფლების ფორმები და

ადამიანის, საზოგადოების მზაობა და პასუხისმგებლობა თავისუფლებისადმი.

ქართული თავისუფლების დისკურში ვლინდება ორი ეპისტემე: "ნეგატიური თავისუფლების" ეპისტემე, როდესაც მთავარია თავისუფლება რაღაცისაგან. თავისუფლება ნიშნავს ბატონობისაგან გათავისუფლებას და თვითონ გაბატონებას. იგი უფრო დამახასიათებელია ქართული საზოგადოებრივი დისკურსისათვის დამოუკიდებლობის არქონის პერიოდში. თავისუფლება ნიშნავს ძალაუფლებას, ოღონდ ეს არის ძალაუფლება იდეის გარეშე. „პოზიტიური თავისუფლება", თავისუფლება რაღაცისათვის დამახასიათებელია ქართული დისკურსისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში. თავისუფლება ნიშნავს შემოქმედების თავისუფლებას და პასუხისმგებლობას ამ შემოქმედების შედეგებზე.

ქართულ საზოგადოებას ახასიათებს თავისუფლების კონფლიქტური დისკურსების არსებობა და თავისუფლების დისკურსული ფორმაციების კომუნიკაციის დაბალი დონე, ქართველი თავისუფლებას აცნობიერებს არა როგორც პროცესს, არამედ მისთვის თავისუფლება არის მდგომარეობა. ეს განპირობებული იყო ქართული ისტორიის ხასიათით.

ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ დაბალია თავისუფლების რეფლექსურობის დონე, თავისუფლების, როგორც თავისუფლების დაცვის მოვალეობისა, რაც თავისუფლების შენაჩუნების აუცილებელი პირობაა. დღეს ქართულ საზოგადოებაში თავისუფლების დისკურსის სრულყოფილ გამოხატვას ამახინჯებს: პათოსური აქტივიზმი, თვითცენზურით შეზღუდულობა, პროპაგანდისტულ-ნიჰილისტური ნაციონალიზმი, რომელიც შევსებულია *NGO* კოსმოპოლიტიზმით.

ქართული ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ძალაუფლება უფრო ხშირად მტრული და უცხოეროვნული იყო. ძალაუფლებაში მეტია თვითნებობის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრეცენდენტი, რადგან ძალაუფლება ბოროტებაა. თავისუფლება ქართველისათვის ნიშნავს მტრული ძალისაგან თავისუფლებას, ამიტომ ქართველისთვის თავისუფლება ხშირად იღებს თვითნებობის, პასუხისმგებლობაზე უარის თქმის სახეს, რადგან არ იცის რამდენ ხანს გაგრძელდება ეს თავისუფლება. ხანგრძლივ დროზე გათვლილი თავისუფლება პასუხისმგებლობას მოითხოვს. იყო თავისუფალი ნიშნავს იყო პასუხისმგებელი.

პიროვნული თავისუფლება არ არის გამოხატულება სახელმწიფოებრივი თავისუფლებისა და პირიქით, პიროვნულ თავისუფლებაში არ აისახება სახელმწიფოს თავისუფლება. ქართველი მიეჩვია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არ არსებობის პირობებში შეექმნა პიროვნული თავისუფლების ილუზია. მისთვის მთავარია პირადი ურთიერთობების აწყობა უცხო დამპყრობელთან და პირადი თავისუფლების მოპოვება, რაც თვითნებობაში გამოიხატება. სწორედ ამაში ხედავს თავისუფლებას.

ქართული საზოგადოების განვითარების გზა უნდა იყოს ქვეშევრდომული თავისუფლებიდან კანონის უზენაესობით შეზღუდული თავისუფლებისაკენ, რაც ამ თავისუფლებაზე პასუხისმგებლობის გაცნობიერებასა და აღებას გულისხმობს. ამ გზის წარმატებით გავლაში უმთავრესი როლი ეკისრება საზოგადოებისა და პიროვნების

განათლებას.

პროექტი	**N17**
პროექტის სახელწოდება	**ქართული სიძველეები საზღვარგარეთ: ათონის მთის ფილოთეოსის მონასტრის ფრესკები**
ინსტიტუტი	**ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ზაზა სხირტლაძე**
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. მარიეტა ჩიხლაძე (დოქტორანტი); 2. თინათინ ყიფიანი (მაგისტრანტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა ნარკვევი ათონზე ქართველთა მოღვაწეობის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლის – ფილოთეოსის მონასტრის სატრაპეზოს ფრესკების (XVI ს.) შესახებ. ამის შედეგად მასალები ათონის მთის ქართული სიძველეების შესახებ შეივსო მნიშვნელოვანი მასალებით, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა მსჯელობა ქართველ მეფეებზე, დიდებულებისა თუ სასულიერო პირების მოღვაწეობის შესახებ არა მარტო ივერთა ქართულ მონასტერში, არამედ ათონის სხვა სასულიერო კერებშიც.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნარკვევი „Patterns of Patronage in Sixteenth Century Georgian Art: Frescoes of the Refectory in Philotheos Monastery on Mount Athos" გამოქვეყნდება ცენტრალური ევროპის მიერ მომზადებულ კრებულში, რაც იმის წინაპირობაა, რომ დამატებითი მასალები საზღვარგარეთის ქართული სიძველეების თაობაზე ხელმისაწვდომი გახდება დასავლეთის სამეცნიერო-აკადემიური წრეებისათვის.

პროექტი	**N18**
პროექტის სახელწოდება	**სახვითი ხელოვნების სწავლების მიზნები და მეთოდიკა თსუ-ს სტუდენტებისათვის (კვლევის I ეტაპი - ხატვა)**
ინსტიტუტი	**ვიზუალური ხელოვნების სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**ასოც. პროფ. ლევან სილაგაძე**
პროექტში მონაწილე პროფესორები	ასისტ. პროფ. ვლადიმერ ასათიანი
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. ნინო კოდალაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი); 2. თეა თაბუაშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა სახვითი ხლოვნების სწავლების გამოცდილება მსოფლიოს უნივერსიტეტებში და სპეციალურ-პროფილურ უმაღლეს სასწავლებლებში, რაც აუცილებელი იყო სახვითი ხელოვნების საუნივერსიტეტო სწავლების პრობლემატიკისა და ამოცანების შედარებითი ანალიზისა და სათანადო დასკვნების გაკეთებისათვის.

ხატვა საფუძვლად უდევს ვიზუალური ხელოვნების ყველა სახეობასა და დარგს. გარდა ვიზუალური ხელოვნების სწავლებაზე ხატვის გავლენის შესწავლისა, ჩვენ მიზანს წარმოადგენდა იმის ანალიზიც, თუ რა გავლენას ახდენს სახვითი ხელოვნების სწავლება სხვა სპეციალობის სტუდენტების განათლებაზე და ინტელექტუალურ ფორმირებაზე. ამიტომ პირველ ეტაპზე ყურადღება გამახვილდა ხატვის შესწავლის ფორმებზე.

შესწავლილმა მასალამ გვაჩვენა, რომ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, მეტნაკლები მოცულობით, კურსების კურიკულუმებში ადგილი უჭირავს ხატვის პრაქტიკულ შესწავლას.

ხელოვნების პრაქტიკული შესწავლა მჭიდროდ არის ინტეგრირებული ხელოვნების თეორიულ-კრიტიკულ სწავლებასთან; სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანი სკოლები, ფაკულტეტები და განყოფილებები ძირითადად უნივერსიტეტების ბაზაზე და მათ ფარგლებში არსებობს.

შემდგომ ამოცანას წარმოადგენდა სტუდენტების საგნობრივი სტატისტიკის ანალიზი – სტუდენტების კონტინგენტის დენადობისა და არჩეული დისციპლინების მიმდევრობის დადგენა, გარკვეული მეთოდოლოგიური დასკვნების გამოტანა.
შემუშავდა სათანადო ხასიათის ანკეტა.

გამოკითხული სტუდენტის მიერ არჩეული საგნების მიხედვით შედგა საგანთა რეიტინგული მონაცემები.

გაკეთდა იმის ანალიზი, თუ როგორ როლს თამაშობს ხატვა სახვითი ხელოვნების შესწავლის საქმეში და რა ფაქტორები განსაზღვრავს დისციპლინის პოპულარულობას.

გაანალიზდა სტუდენტების მხატვრულ-შემეცნებითი პრიორიტეტები – დადგინდა სახვითი ხელოვნების დისციპლინების არჩევის მოტივები. კრიტიკულად იქნა მიმოხილული ხატვის მოდულის გადამუშავების პროცესში მყოფი სილაბუსების სინოფსისი. გაანალიზდა, თუ რა განაპირობებს ინტერესს ხატვის სწავლისას: მისი პლასტიკური, კონსტრუქციული, ფორმისეული, ემოციური, წარმოსახვითი თუ თამაშური ელემენტები.

ჩატარებულმა სამუშაომ საშუალება მოგვცა გაკვეკეთებინა რამდენიმე საყურადღებო დასკვნა.

დადგენილ იქნა სტუდენტების კონტინგენტის დენადობა და არჩეული სახვითი დისციპლინების მიმდევრობა. აღნიშნულმა საშუალება მოგვცა გაგვეაზრებინა ხატვის დისციპლინათა ურთიერთმიმართება კურიკულუმით განსაზღვრულ დისციპლინებთან,

ხატვის, როგორც სახვითი აზროვნების საბაზისო დისციპლინის მნიშვნელობა და გამოგვევლინა მხატვრული კულტურის ჩამოყალიბების პარამეტრები სტუდენტთა შორის. შესრულებული ამოცანის ყველა კომპონენტი საინტერესოა, რადგან ეხება - 1) ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების სახეობრივ-ემოციური აზროვნების ფორმას; 2) ვიზუალური და მხატვრული კულტურის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ეტაპს, რომელსაც სკოლის ხელოვნების პროფილით განსაზღვრულ ეტაპთა გავლის შემდეგ, ეუფლება სტუდენტი; 3) კვლევას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც – შედეგები ასახულ იქნა სახვითი ხელოვნების კურიკულუმით განსაზღვრული სილაბუსების კორექტირებისას.

პროექტი	**N19**
პროექტის სახელწოდება	**რელიგიის ნორმატიული და პრაქტიკული ასპექტების კორელაცია (ლომისობის დღესასწაულის მაგალითზე)**
ინსტიტუტი	**ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
პროექტის ხელმძღვანელი	**ასოც. პროფ. ქეთევან ხუციშვილი**
პროექტში მონაწილე პროფესორები	ასოც. პროფ. როზეტა გუჯეჯიანი
პროექტში მონაწილე სტუდენტები	გიორგი მეურმიშვილი (დოქტორანტი); მაკა მათიაშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი); მარიამ ხაზალია (ბაკალავრიატის სტუდენტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტის ფარგლებში დამუშავდა სამეცნიერო ლიტერატურა. ასევე ინტერნეტ მასალები, ჩატარდა საველე ეთნოგრაფიული კვლევა 3 ივნისს (ლომისობის დღესასწაულზე) და 17-დან 27 აგვისტოს ჩათვლით დუშეთის რაიონის სოფელ მლეთაში. ეთნოგრაფიული და ისტორიული მეთოდების დაკვირვებით (უბრალო და მონაწილე), ინტერვიურებით (ღია, ნახევრად სტრუქტურირებული და ჩაღრმავებული) და ვიზუალური ანთროპოლოგიის მეთოდების (ფოტო და ვიდეო ფიქსაცია) გამოყენებით შეგროვდა მიმდინარე ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გაანალიზდა შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენებით. მოხდა ისტორიული მონაცემებისა და ზეპირი გადმოცემების შეჯერება.

სამუშაოების პირველი ეტაპი მოიცავდა სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, კითხვარის შედგენასა და ლომისობის დღესასწაულზე დასასწრებად მზადებას. 3 ივნისს პროექტში მონაწილეთა ჯგუფი გაემგზავრა ლომისობის დღესასწაულზე დასასწრებად და უშუალოდ მოადინა დაკვირვება მიმდინარე რიტუალსა და პროცესზე. შეკრებილი მასალის პირველადი საჯარო განხილვა შედგა თსუ-ში 4-7 ივნისს თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და ფრიბურგის უნივერსიტეტის ერთობლივი სემინარის ფარგლებში. შემდეგ ეტაპზე

განხორციელდა სტაციონარული ექსპედიცია, რომლის დამთავრების შემდეგაც მოხდა შეკრებული მასალების სისტემატიზირება და სინთეზირება სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებთან. გაკეთდა ძირითადი დასკვნები: ეთნიკური კულტურა იმ კულტურული ელემენტებისა და სტრუქტურების ერთობლიობაა, რის მიხედვითაც ხდება „ჩვენ-ისინი“ ოპოზიციის გაცნობიერება და იდენტობის განსაზღვრა. იგი მდგრადი წარმონაქმნია, რომლის კულტურული მნიშვნელობები და ღირებულებები ყველაზე თვალსაჩინოდ რწმენა-წარმოდგენების სისტემებში ვლინდება. ამ უკანასკნელის არსებითი ყოფითი რეალია კი დღესასწაულთა კალენდარული ციკლია. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ლომისობის დღესასწაული ერთ-ერთია იმ ხალხური დღეობებიდან, რომელიც მეოცე საუკუნის განმავლობაშიც მოქმედებდა და დღესაც აღინიშნება. ლომისობა მოძრავი დღესასწაულია. აღინიშნება აღდგომიდან მე-7 კვირას არაგვისა და ქსნის ხეობაში. მისი სახელობის სალოცავებიდან ერთი ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზეა, ხოლო მეორე – სოფელ მლეთაში. ამ დღეს მლოცველები იკრიბებიან სალოცავზე და იმართება დღეობა შესაწირავით. სწორედ შესაწირავის სიმრავლე გახდა ბოლო დროის საზოგადოებრივი დისკურსის საგანი. ლომისობის დღესასწაული არის მაგალითი ნორმატიული რელიგიურობის პრაქტიკული ვარიაციებით შევსებისა, რომლებიც გამოწვეულია არა მხოლოდ რელიგიურობის ტრანსფორმაციით, არამედ მასზე გავლენას ახდენს ყოფის ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტებიც. პროექტის სიახლე შემეცნებითი თვალსაზრისით ისაა, რომ მოხდა ერთად თავმოყრილი, ახლებურად ორგანიზებული ემპირიული მასალისა და განმაზოგადებელი თეორიული დასკვნების შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, რაც საშუალებას მისცემს სამეცნიერო წრეების (ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ისტორიის, რელიგიური კვლევების, კულტურის კვლევების და სხვა სამეცნიერო მიმართულებების) დაინტერესებულ წარმომადგენლებს გამოიყენონ აღნიშნული მასალა შედარებითი ანალიზისა და თეორიულ-მეთოდოლოგიური დისკურსისთვის. პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისით, კვლევა დააკმაყოფილებს ფართო საზოგადოების ინტერესებს, მას ექნება საგანმანათლებლო-პრაქტიკული მნიშვნელობა საქართველოს მოქალაქეებისათვის, რაც გაზრდის მათ ცოდნას საკუთარი ქვეყნის შესახებ, შეავსებს ამ მხრივ არსებულ ხარვეზებსა და აღმოფხვრის ცოდნის ნაკლებობაზე დაფუძნებულ სტერეოტიპებს. პროექტის საბოლოო პროდუქტი იქნება ერთობლივი პუბლიკაცია, რომლის რედაქტირება და გამოსაცემად მომზადებაც ახლა მიმდინარეობს.

პროექტი	**N20**
პროექტის სახელწოდება	**გივი მარგველაშვილის „მუცალი“: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციის პრობლემა**
ინსტიტუტი	**თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

პროექტის ხელმძღვანელი	**პროფ. ნანა გაფრინდაშვილი**
პროექტში მონაწილე სტუდენტები	1. მარი სიმონიშვილი (მაგისტრანტი); 2. ნინო აფციაური (მაგისტრანტი).

პროექტის რეზიუმე

პროექტი ,,გივი მარგველაშვილის ,,მუცალი“ - პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციის პრობლემა“ - განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად.

პროექტის ავტორთა კვლევის ობიექტს წარმოადგენდა რომანი ,,მუცალი,“ რომელიც პოსტმოდერნიზმის ესთეტიკისა და კლასიკური ტექსტის დეკონსტრუქციის თვალსაზრისით ჯერ არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის მეტად მნიშვნელოვანია პოსტმოდერნიზმის თეორიულ-ისტორიული ასპექტების კვლევა, ასევე ქართული ლიტერატურის ტიპოლოგიური მიმართებების შესწავლა მსოფლიო ლიტერატურასთან.

გივი მარგველაშვილი ცნობილი ქართველი პოსტმოდერნისტი მწერალია. მისი შემოქმედება ემიგრანტული მწერლობის ნიმუშს წარმოადგენს. გივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს რომან ,,მუცალს,“ რომლის ამოსავალ ტექსტებად იქცნენ ,,მერანი“ და ,,ალუდა ქეთელაური.“ თხზულება 1991 წელს დაიბეჭდა გერმანიაში, ქართული თარგმანი კი 2001 წელს გამოიცა.
კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი: რომანი მრავალპლანიანია და მასში რამდენიმე ასპექტის გამოყოფა შეიძლება: ფილოსოფიურის; სოციოლოგიურის; პოლიტიკურის; ავტობიოგრაფიულის; წმინდა ლიტერატურულის.

რომანის ფილოსოფიური ასპექტი კი ფრანგი ფილოსოფოსის ჟილ დელიოზის თეზისს ეფუძნება: ,,ნუ დავსვამთ წერტილებს, ჯობს ხაზები გავავლოთ!“ წერტილი და ხაზი ორი პოსტმოდერნისტული ნიშანია. გივი მარგველაშვილი დელიოზის კონცეფციას იზიარებს და ,,წერტილი“ მისთვის განუვითარებლობის სიმბოლოდ იქცევა, ამიტომ გაურბის მის დასმას და ვაჟას მიერ მუცალის სიკვდილით დასმული წერტილს ცვლის მუცალისვე სიცოცხლის ხაზით.

საგრანტო პროექტის მთავარი მიზანი გახლდათ ის, რომ რომანი შესწავლილიყო პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის ყველა პოზიციიდან. მოცემულ ნაშრომში წამყვანი ადგილი დაეთმო ლიტერატურის კვლევის კომპარატივიტულ მეთოდს. აქ გამოვიყენეთ სტრუქტურულ-ფუნქციონალური და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდები. გავითვალისწინეთ კულტურათა დიალოგის მომენტი და გლობალიზაციის პირობებში მასობრივი და ზოგადეროვნული კულტურების ურთიერთზემოქმედებისა თუ კულტურული იდენტობის საკითხები. კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ჰერმენევტიკულ მეთოდს, როგორც ტექსტის ,,გაგების ხელოვნებას.“ გავითვალისწინეთ

,,ჰერმენევტიკული წრის“ თავისებურება და ტექსტის შესწავლისას ყურადღებას ვამახვილებდით ეპოქის თავისებურებებზე, ცხადია, ავტორის სულიერი ცხოვრების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად მივიღეთ ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომი, რომელშიც ,,მუცალის“ მაგალითზე წარმოჩნდება პოსტმოდერნიზმის ძირითადი მახასიათებლები, გარდა ამისა, ქართული სინამდვილის პოსტმოდერნისტული დეკონსტრუქცია; როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში კვლევის წარმართვა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და, ამდენად, კვლევის შედეგად მიღებული ნაშრომი ერთნაირად საინტერესო იქნება, როგორც ვიწრო პროფილის სპეციალისტებისთვის, ასევე მომიჯნავე სამეცნიერო დარგების წარმომადგენლებისთვისაც.